საქართველო

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (შორაპანი - არგვეთას მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტი

სესხი: 3861-GEO

დავალების სახელწოდება: **საქართველოში გზების მოვლა - შენახვის სისტემის გაძლიერების ხელშესაწყობად შესაბამისი სტრატეგიისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება**

ხელშეკრულების ნომერი: **SARP/CS/QCBS-02**

საქართველომ აზიის განვითარების ბანკისაგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (შორაპანი - არგვეთას მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტის** განხორციელებისათვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს ინტერესის გამოსახატავად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **საქართველოში გზების მოვლა - შენახვის სისტემის გაძლიერების ხელშესაწყობად შესაბამისი სტრატეგიისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება.** დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 12 თვე.

შერჩევა განხორციელდება კონსულტანტის კვალიფიკაციასა და ხარჯზე დაფუძნებული შერჩევის მეთოდის **Quality and Cost-Based Selection (QCBS)** გამოყენებით აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს თანახმად - Procurement Regulations for ADB Borrowers, Goods, Works, Non-consulting and Consulting Services, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე: https://www.adb.org/sites/default/files/procurement-regulations-adb-borrowers.pdf

ინტერესის გამოხატვა წარმოდგენილი უნდა იქნას ინგლისურ ენაზე აზიის განვითარების ბანკის ვებ-გვერდის მეშვეობით არაუგვიანეს 2025 წლის 15 სექტემბრისა: https://selfservice.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=214422